საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №34/ნ
2013 წლის 11 მარტი

ქ. თბილისი

სსიპ - ქალაქ თბილისის №46 საჯარო სკოლისათვის ვახტანგ ჭაბუკიანის სახელის მინიჭებისა და „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის მე-6 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

მუხლი 1

,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ III, 26.09.2005, №112 მუხ: 1233; სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.007.724) დამტკიცებულ დანართ №7-ით გათვალისწინებულ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ძველი თბილისის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებულ ქალაქ თბილისის №46 საჯარო სკოლას მიენიჭოს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელი;

მუხლი 2

,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით (სსმ III, 26.09.2005, №112 მუხ: 1233; სარეგისტრაციო კოდი 040.030.000.22.022.007.724) დამტკიცებულ დანართ №7-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართის პირველი გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქალაქ თბილისის №46 საჯარო სკოლა	ჩუბინიშვილის ქ. №49	დაწ-საბ-საშ

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი მარგველაშვილი**